ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობა თბილისის მოსახლეობისთვის

ზურაბ ბახსოლიანი

ქეთევან კახეთელიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ჯანდაცვის მენეჯმენტში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა "ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი"

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა, სრული პროფესორი;

თემური ბარკალაია, დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ზურაბ ბახსოლიანი

ქეთევან კახეთელიძე

19.06.2014

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია წარმოადგენს კერძო და მუნიციპალური სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ხელმისწვდომობის კვლევას. ძირითად საკვლევ საკითხს წარმოადგენდა კერძო სასწრაფო დახმარების ცენტრების როლი თბილისის მოსახლეობისთვის სასწრაფო დახმარების ხელმისაწვდომობაში. კვლევა ჩატარდა თბილისის მასშტაბით და გამოიკითხა 11 კერძო სასწრაფო დახმარების ცენტრი პირისპირ ინტერვიუირებით და კერძო სასწრაფო დახმარებით მოსარგებლე 200 რესპოდენტი სატელეფონო გამოკითხვით.

ძირითადი ნაწილი მოიცავს სამეცნიერო ლიტერატურისა და კვლევის შედეგებს. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სასწრაფო დახმარების სისტემაში, როგორც კერძოში, ასევე მუნიციპალურში, არსებობს ხარვეზები. გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ კერძო სასწრაფოს დახმარებით მოსარგებლეთა 43 % მხოლოდ დაზღვევის გამო სარგებლობს კერძო სასწრაფო დახმარებით, ხოლო 12 % ხარისხის გამო ანიჭებს უპირატესობას. ყველაზე აქტუალური და გამოყენებადი კერძო სასწრაფო დახმარებები ვიწრო მიმართულებით აღმოჩნდა, ვიწრო სპეციალისტის მოთხოვნის მიზეზი 39 %-მა დაასახელა, რაც, ასევე, მიუთითებს პერსონალის კვალიფიკაციაზე.

კვლევის შედეგად ნათლად ჩანს, რომ კერძო სასწრაფო დახმარება მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასწრაფო დახმარების ხელმისაწვდომობაში.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გაწეული დახმარებისთვის და ნაშრომის შექმნაში შეტანილი წვლილისთვის დიდ მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელებს ჯანდაცვისა და დაზღვევის სკოლის დირექტორს ბატონ თენგიზ ვერულავას და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის“ დოქტორანტს, ბატონ თემურ ბარკალაიას.

ასევე, მადლობას ვუხდი კვლევაში მონაწილე ყველა კერძო სასწრაფო დახმარების ადმინისტრაციას კვლევაში მონაწილეობისათვის და მათი მომხმარებლების საკონტაქტო ინფორმაციის მოწოდებისათვის.